1 აპრილი

დიდმარხვის IV კვირა [IV] ი

2017 შაბათი

იერ 11,18-20; ფს 7; იო 7,40-53

ეს ნამდვილად წინასწარმეტყველია იო 7,40

იესოს წინაშე, მისი სიტყვისა და ხმის ტემბრის
მოსმენით, არის ხალხი ვინც ხვდება და
რწმუნდება რომ იგია ღვთისაგან აღთქმული
წინასწარმეტყველი და მესია.
ვისაც უბრალო და თავმდაბალი გული აქვს,
მას შენ იზიდავ, იესო, სწამს მას შენი და
გიძღვნის შენ თავის სიცოცხლეს.

2 აპრილი

დიდმარხვის V კვირადღე, «ა», [I], ი

2017 პირა

ეზეკ 37,12–14; ფს 129; რომ 8,8–11; იო 11,1–45

მამაო, მადლობას გწირავ,
რადგან შეისმინე ჩემი იო 11,41

იესო მოწმობს, რომ ყოველთვის თავისი მამის ნებას ასრულებს, რომელმაც მოავლინა იგი ადამიანთა სახსნელად. იგი ყველა ღონეს ხმარობს, რომ მტრებსაც დაეხმაროს, რათა ირწმუნონ იგი. მადლობა, იესო, რომ შეგვეწევი გვიყვარდეს ისინიც, ვისაც არ ესმის ჩვენი და გვეწინააღმდეგება.

3 აპრილი

2017

ორშაბათი

დან 13,1-9.15-17.19-30.33-62; ფს 22; იო 8,1-11

შენ რას იტყვი? იო 8,5

ამ კითხვით შენი მოწინააღმდეგენი გამოცდას გიწყობენ და შენც პასუხობ. შენ პირველ რიგში მდუმარებით პასუხობ, მიწაზე წერით, შემდეგ კი იძლევი შეფასების ახალ საზომს: *„ვინც უცოდველია...“* მადლობა, იესო, სიცოცხლის მოძღვარო! შენში ვხედავთ და განვიცდით მამის სიყვარულს, მის გულმოწყალებას.

4 აპრილი

2017

დიდმარხვის V კვირა [I] ი

წმ. ისიდორე, ეპ. და ეკლ. მოძ. +636

სამშაბათი

რიცხ 21,4-9; ფს 101; იო 8,21-30

მრავალმა ირწმუნა იგი იო 8,30

იესო გვიმხელს, რომ იგი გვეუბნება იმას, რაც მამისაგან ესმის და აკეთებს მხოლოდ მისთვის მოსაწონს და ამგვარად დაგვიმოწმა თავისი ღრმა სიყვარული მამის მიმართ, და მრავალი ერწმუნა მას. მეც, როდესაც დავიწყე იესოსთვის მთელი გულით ყურის დაგდება, მისი სიტყვების შესასრულებლად მთელი ძალების მოხმობით, მივაღწიე მისი ღვთაებრიობის რწმენას.

მადლობა, იესო!

5 აპრილი

დიდმარხვის V კვირა [I] ი

წმ. ბიკენტი ფერერი, ხუცესი, +1419

2017 **ოთხშაბათი**

დან 3,14-20.46-50.91-92.95; საგ. დან 3,52-56; იო 8,31-42

შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ იო 8,32

იმ თავისუფლებაზე ფიქრით, რომელსაც გვანიჭებს იესო, გამახსენდა ის დრო, როდესაც ერთ გოგონასთან ვმეგობრობდი. მქონდა შესაძლებლობა, დავყოლოდი ვნებას მის მიმართ, თუმცა გულის სიღრმიდან რაღაც მკარნახობდა, რომ იესოს ნათქვამი ამერჩია. კვლავაც მახსოვს ის სიხარული, რაც ვიგრძენი მისდამი პატივისცემითა და სისპეტაკით მოქცევის გამო, ვისაც ღმერთი მთავაზობდა იმ მომენტში როგორც თავისი სიყვარულის ძღვენს. მადლობა, იესო, შენი სიტყვა შენსავით სუფთა და ნამდვილ სიყვარულში ცხოვრების თავისუფლებას გვანიჭებს.

ხუთშაბათი

დაბ 17,3-9; ფს 104; იო 8,51-59

ჩემი აღთქმა შენთანაა დაბ 17,4

ჩვენც გამოგვიწოდა მამა ღმერთმა თავისი აღთქმა, როცა მოგვმადლა იესოში, თავის ძეში, მთელი თავისი სიყვარული, მარადიული ერთგულებით. ჩვენც დაგვპირდა: *„ვისაც სწამს იგი (იესო), მას აქვს საუკუნო სიცოცხლე“*, ნამდვილი, სავსე სიცოცხლე. მადლობა, მამავ სახიერო!

7 აპრილი

2017

დიდმარხვის V კვირა [I] ი

წმ. ჟან ბატისტ დე ლა სალ, ხუც. +1719, (მ)

პარასკევი

იერ 20,10-13; ფს 17; იო 10,31-42

მამა ჩემშია და მე მამაში იო 10,38

მწამს, იესო, რომ მამა შენში ცოცხლობს; შენა ხარ ადამიანის სიცოცხლედ ქცეული მისი სიტყვა, მისი ხილული სიყვარული ხარ, რადგან ყველაფერში მას მორჩილებ. მთელი შენი არსებით მისი ნების აღ-სრულებისაკენ ისწრაფი, მისი გახარებისაკენ; შენ მასში ცოცხლობ. გმადლობთ შენი მოწმობისათვის.

8 აპრილი

2017 შაბათი

ეზეკ 37,21-28; საგ. იერ 31,10-13; იო 11,45-56

შეიტყობენ, რომ მე ვარ უფალი ეზეკ 37,28

ღმერთი, რომელიცაა სიყვარული, ეზეკიელ წინასწარმეტყველის საშუალებით ელაპარაკება თავის ერს და ჰპირდება, რომ თავად იზრუნებს მისი განწმედისა და აღთქმულ მიწაზე დაბრუნებისათვის: ამგვარად უჩვენებს ყველა ხალხს თავის სიყვარულს და ძალმოსილებას. შენი ხელი, მამაო, ასევე მოქმედებდეს ქრისტიან ერზეც!

9 აპრილი

ბზობა, «ა», [II], წ

2017 კვირა

მთ 21,1-11; ეს 50,4-7; ფს 21; ფილიპ 2,6-11; ვნება: მთ 26,14 - 27,66

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

სული მხნეა, ხორცი კი უძლური მთ 26,41

იერუსალემში შენი შესვლის დღეს, შენი ვნებისა და სიკვდილის კვირას რომ იწყებს, გვსურს ამ ლოცვით მოგმართოთ, უფალო იესო: „შეგვეწიე ამ შვიდეულში დავლოცოთ ჩვენი მაგინებელნი, მეორე ლოყით გავუღიმოთ მას ვინც სილას გვაწნის, არ ჩავიდოთ გულში შეურაცხყოფანი. შეგვეწიე ამაში, რათა შენს დიდებაში შევძლოთ შემოსვლა“.

10 აპრილი

დიდი ორშაბათი [II] ი

2017 ორშაბათი

ეს 42,1-7; ფს 26; იო 12,1-11

ჩემი სული დავდე მასზე ეს 42,1

მამა ღმერთმა „ზეთი სცხო“, აკურთხა თავისი წმიდა სულით თავისი მხოლოდშობილი ძე იესო, რათა მან სრულად გამოაცხადოს მისი სიყვარული. და იესოც, მთელი თავისი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე და ახლაც, კვლავაც უძღვნის ამ სიყვარულს მათ, ვინც თავმდაბლად და მორჩილებით მიჰყვებიან მას.

11 აპრილი

2017

დიდი სამშაბათი [II] ი

სამშაბათი

ეს 49,1-6; ფს 70; იო 13,21-33.36-38

ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ერთი თქვენგანი გამცემს იო 13,21

რაოდენ მყიფენი ვართ, უფალო იესო! შენი სიყვარულის ამდენი გამოცდილების შემდეგ ჩვენი სიყვარული შენდამი არ მოძლიერებულა, ზოგჯერ გვიქრება კიდეც; ქმენ, დროზე მივხვდეთ ხოლმე ამას. მოგვმადლე ნამდვილი მოქცევის ნიჭი, რათა არ დავეცეთ შენი ღალატის ცდუნებისას.

12

2017

აპრილი

დიდი ოთხშაბათი, [II], ი

წმიდა მირონის კურთხევის წირვა თბილისში,
მარიამის აღყვანების საკათედრო ტაძარში

ოთხშაბათი

ეს 50,4-9; ფს 68; მთ 26,14-25

ანი, უფალი ღმერთი შემეწევა მე ეს 50,9

ეს იაჰვეს მორჩილის სიტყვებია, რომლითაც იგი გამოხატავს ღვთისადმი სრულ სასოებას, მას შემდეგ რაც ჩამოთვალა თავისი სატანჯველი. *„ზურგი მივუშვირე შოლტით მცემელებს, ლოყები წვერის მგლეჯელებს, გინებისა და ფურთხისაგან სახე არ დამიმალავს“*: იესოს ვნების წინასწარმეტყველური აღწერა. და ღმერთი, როგორც ვიცით, შეეწია მას აღდგომამდე. მიყვარხარ, იესო, და შენთან ერთად მივენდობი მამას!

13 აპრილი

2017

დიდი ხუთშაბათი, [ს], თ

ხუთშაბათი

გამ 12,1-8.11-14; ფს 115; 1კორ 11,23-26; იო 13,1-15
(უფლის სერობის წირვა)

ყველანი არა ხართ სუფთანი იო 13,11

იესო, რაოდენ გიმძიმს ამ სიტყვების წარმოთქმა! შენ გიყვარს ყველა, თითოეულის საჭიროებისდა მიხედვით, მაგრამ ყველა როდი უღებს კარს შენს სიყვარულს; კვლავაც განმწმინდე, რათა აღარ ვიყო შენი ტანჯვის მიზეზი. დღეს ვზეიმობთ შენი ხორცისა და სისხლის უსასზღვრო ნიჭს: მსურს მივიღო ის მადლიერებით, დარწმუნებულმა, რომ ძალუძს ჩემი ცხოვრების დაპურება და განწმენდა შენივე სიწმინდით.

14 აპრილი

2017

წითელი პარასკევი, [ს], წ

პარასკევი

ეს 52,13 – 53,12; ფს 30; ებრ 4,14–16; 5,7–9; ვნება: იო 18,1 – 19,42
(უფლის ვნების მსახურება)

მძიმე მარხვის დღე

გიხაროდენ, იუდეველთა მეფევ! იო 19,3

რაოდენ დაგტანჯეთ, იესო, მიუხედავად იმ სიყვარულისა, რაც მოგვიძღვენი! ეკლის გვირგვინი, თავზე რომ დაგამხეს ჩვენი ცოდვების ნაყოფია. იმის ნაცვლად, რომ მორჩილებით გვეცა პატივი, ათასგვარად აგიგდეთ აბუჩად. მოგვიტევე, იესო!

15

აპრილი

დიდი შაბათი [ს]

საპასექო ღამისთევა, დდ, [ს], თ

2017

შაბათი

ფუფალი ჩემი ნათელია და ხსნაა ჩემი ფს 26

შენი ვნება, სიკვდილი და აღდგომაა, იესო, ჩემი ხსნაა და გმადლობას გწირავ; ესაა აგრეთვე სიყვარულის მოძღვრება ყველა მათთვის, ვისაც სწამს შენი და გაღიარებენ მამა ზეციერის ძედ. დღეს შენთანა ვარ მდუმარებაში, რათა გითხრა რომ მუდამ მწადია შენ მიყვარდე.

16 აპრილი

პასექი უფლის ბრწყინვალე აღდგომისა, «ა», დდ, [ს], თ

2017 პირა

საქმ 10,34.37-43; ფს 117; კოლ 3,1-4 (ან, 1კორ 5,6-8); იო 20,1-9 (ან, მთ 28, 1-10 ან, საღამოს: ლკ 24,13-35)

შევიდა მეორე მოწაფეც და იხილა და ირწმუნა იო 20,8

მადლობა, იესო, რომ მოკვდი და აღდექი ჩვენ ცოდვილთათვის; მადლობა შენი მოციქულების მოწმობისათის, მადლობა შენი სიყვარულის ნიშნებისათვის, შენს რწმენას რომ გვიმტკიცებენ, მარად ცოცხალო! ქმენ, რათა შენთან შეერთებული ჩვენი სიცოცხლე, სიკვდილზე გამარჯვებულო, იქცეს მუდმივ ალელუიად!

17 აპრილი

2017

ორშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს] , თ

ორშაბათი

საქმ 2,14.22-33; ფს 15; მთ 28,8-15

ღმერთმა აღადგინა იგი საქ 2,24

დიახ, მწამს, რომ იესომ დაამარცხა სიკვდილი
და ახლა იმყოფება სამუდამოდ ყველგან, სადაც
კი მასზე შეყვარებული ხალხი მოიძევება, ისევე,
როგორც მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ
ტაბერნაკულუმების ევქარისტიაში. ყოველ წმიდა
წირვაში ის კვლავაც ლაპარაკობს და გვეძღვნება
როგორც ჩვენი ცხოვრების შემწე და ძალა.
მადლობა, უფალო იესო!

18 აპრილი

2017

სამშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს] , თ

სამშაბათი

საქმ 2,36–41; ფს 32; იო 20,11–18

დედაკაცო, რად ტირი? იო 20,15

თუკი იესოს სათვალავში არ ჩავაგდებთ, უგულებელვყოფთ მის ჩვენთან ყოფნას, მის სიტყვას, მის გამარჯვებას სიკვდილზე, იოლად დაგვეუფლება სევდა.
იესო, განმიმტკიცე რწმენა შენში, შენს ერთგულ სიყვარულში, და აღარასდროს დავღვრი ცრემლებს!

19 აპრილი

2017

ოთხშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

ოთხშაბათი

საქმ 3,1-10; ფს 104; ლკ 24,13-35

ჭეშმარიტად აღდგა უფალი ლკ 24,34

მადლობა, იესო, შენი მოწაფეების მოწმობისათვის, რომელთაც ეჩვენე აღმდგარი, პური ჭამე მათთან და მიანიჭე მათ შენმიერი მშვიდობა. მადლობა, რადგან ამგვარად მეც მეხმარები, მწამდე შენ აღმდგარი და ცოცხალი, და აღარ მეშინოდეს სიკვდილის.

20 აპრილი

ხუთშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2017 ხუთშაბათი

საქმ 3,11-26; ფს 8; ლკ 24,35-48

მოინანიეთ და მოექეცით საქმ 3,19

პეტრე სულთმოფენობის შემდეგ სულიწმიდით აღვსილი ელაპარაკება ხალხს, მას შემდეგ რაც იესოს სახელით განკურნა ხეიბარი. იგი მოწმობს, რომ იესომ განკურნა იგი, მისი, აღმდგარის რწმენის საშუალებით, და იწვევს მოქცევისაკენ და სინანულისაკენ მათ, ვინც გადაწყვიტა მისი ჯვარცმა. მადლობა, იესო, შენი სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომისათვის და მადლობა რომ მომანიჭე შენი რწმენა.

21 აპრილი

2017

პარასკევი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს] , თ

პარასკევი

საქმ 4,1–12; ფს 117; იო 21,1–14

ფუფალია იო 21,7

პალესტინაში ახალგაზრდა მონაზვნებმა მოგვიყვეს თავიანთი მოწოდების შესახებ. მათი სმენისას მომეჩვენა რომ სწორედ აღმდგარმა იესომ მოუხმო მათ; მართლაც, ნაბიჯები, მათ რომ გადადგეს, ის ნაბიჯები იყო, რაც გადავდგი მეც და მრავალმა ჩემმა მეგობარმა: მიატოვო არცთუ კარგი სამეგობროები, დილა-საღამოს დაუთმო დრო ლოცვას, გულისხმიერება გამოიჩინო უპოვართა მიმართ, იარო ქრსტიანულ საკრებულოში, აიტანო წინააღმდეგობები, ზოგჯერ საკუთარი მშობლების მხრიდანაც. გმადლობ, აღმდგარო იესო, რომ შენი საქმე ასე კარგად ჩანს მათთვის ვისაც უყვარხარ.

22 აპრილი

შაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

2017 შაბათი

საქმ 4,13–21; ფს 117; მარ 16,9–15

ჩვენ არ ძალგვიძს გავჩუმდეთ იმაზე, რაც ვიხილეთ საქ 3,20

იესოს ნათქვამი ჰქონდა მოციქულთათვის: *„აუწყეთ სახარება ყოველ ქმნილებას“* და ისინიც, წმიდა სულის ძალით მორჩილებენ მას, მიუხედავად იმისა, რომ მავანი უკრძალავს მათ ამ საქმეს.
იესო, შეგვეწიე, გაბედული მოწმეები ვიყოთ შენი სიცოცხლისა, სიკვდილისა და აღდგომისა ამ საზოგადოებაში, შენი და ჩვენი გარიყვა და თავიდან მოშორება რომ განუზრახავს!

23 აპრილი

2017

პასექის II კვირადღე,
(ღმრთაებრივი გულმოწყალებისა)
«ა», [ს], თ

კვირა

საქმ 4,42-47; ფს 117; 1პეტრ 1,3-9; იო 20,19-31

ივლიტის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მოწაფეებმა გაიხარეს უფლის ხილვით იო 20,20

დიდი ხანი არ გასულა გულმოწყალების წლის დახურვიდან; მასში ხშირად გავიხარეთ მამის უღრმესი სიყვარულის ჭვრეტით იესოს პიროვნებაში რომ შეისხა ხორცი და განცხადდა. დღესაც თაყვანსა გცემთ, აღმდგარო იესო, უფალო ჩვენო და ღმერთო ჩვენო. შენ იგივე ხარ გუშინ, დღეს და მარად; შენა ხარ ჩვენი ლხენა: შენ გსურს, ხელით შევეხოთ მუდამ სიყვარულით სავსე შენს ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნას.

24 აპრილი

2017

აღდგომის II კვირა [II] თ

წმ. ფიდელ სიგმარინგენელი, ხუც. წამ. +1622

ორშაბათი

საქმ 4,23-31; ფს 2; იო 3,1-8

მ. დამიანე სააკაშვილის გახსენება (+ 1943)

ზეგარდმო გმართებთ შობა

იო 3,7

არა კმარა ჩემი გონება ღვთიურ საგანთა გასაგებად და მის სიცოცხლეში შესასვლელად. მმართებს სიცოცხლე გამოვართვა მამა ღმერთს, ანუ, აზრები, გრძნობები, სურვილები, ნება უნდა მივიღო მისგან და არა წუთისოფლისგან: მაღლიდან შობა! თუკი მეყოფა თავმდაბლობა და სიღარიბე, მართლა შევძლებ ახალი სიცოცხლის მიღებას.

25 აპრილი

2017

წმ. მარკოზ მახარებელი, დ, [ს], წ

სამშაბათი

1პეტ 5,5-14; ფს 88; მარ 16,15-20

ღმერთი ამჴარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს 1პეტ 5,5

ერთმა ძმამ თქვა: 'თავმდაბლობაა ჩვენი თავისუფლება'. ვეთანხმები ამ აზრს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ როდესაც ვუჯერებ, მაგალითად, მოხუცებს, სულიერ მამას ან ძმებს რწმენაში, მშვიდობაში ვარ და ვხედავ, როგორ მოქმედებს უფალი ჩემს ცხოვრებაში მამის სიყვარულით. ყველა წმიდანმა იცხოვრა თავმდაბლობით და ღმერთმაც აკურთხა ისინი.

26 აპრილი

აღდგომის II კვირა [II] თ

2017 ოთხშაბათი

საქმ 5,17-26; ფს 33; იო 3,16-21

ნათელი მოვიდა წუთისოფელში იო 3,19

მადლობა, უფალო იესო, რადგან მთელი შენი ცხოვრება ამქვეყნად, რომლის ჭვრეტაც ძალგვიძს სახარებებში, ჩვენი ნათელია ღმერთის, მამის გასაცნობად. ამგვარადვეა ყოველი შენი მოძღვრება. მადლობა მათთვის შენ და წმიდა სულს, ყოველდღიურად რომ გვიწვდის მათ; ისინია ნათელი ამ წუთისოფლის ხშირად ბნელ გზებზე სასიარულოდ.

27 აპრილი

2017

აღდგომის II კვირა [II] თ

ხუთშაბათი

საქმ 5,27-33; ფს 33; იო 3,31-36

ფუფრორე ღმერთის მორჩილება გვმართებს ვიდრე ადამიანებისა საქმ 5,29

ადამიანთა მორჩილებამ შესაძლოა დიდი
კეთილგანწყობა, კმაყოფილება, უპირატესობა
მოგვიპოვოს რამდენიმე ხნით, რამდენიმე წლით;
ღმერთისადმი მორჩილება კი სამარადისოა.
მოდი, სულო წმიდაო, ამ რთულ დროებაში:
მომანიჭე მე და მთელ ეკლესიას, ვუერთგულოთ
აღმდგარ იესოს, ჟამთასვლის უფალს!

28 აპრილი

2017

აღდგომის II კვირა [II] თ

წმ. ლუი მარი გრინიონ დე მონფორტი, ხუც. +1716;
წმ. პეტრე შანელი, ხუც. და ნამ. +1841;
წმ. ჯანა ბერეტა მოლა +1962

პარასკევი

საქმ 5,34–42; ფს 26; იო 6,1–15

ღვთის მოწინააღმდეგენი არ აღმოჩნდეთ საქმ 5,39

სულო წმიდაო, შენ ლაპარაკობ და მოქმედებ სადაც გნებავს და როგორც გნებავს! მადლობა მათთვის, ვისაც ჰკარნახობ, რომ შემისწორონ და დამაფიქრონ, როდესაც რაიმე ცუდ, ღვთისათვის არასათნო საქმისკენ ვიღებ ხოლმე გეზს. შენდამი გულისხმიერება და მორჩილება მომანიჭე, რათა ვიცხოვრო მამის გულის გასახარად.

29 აპრილი

2017

წმ. ეკატერინე სიენელი, ქალწ. და ეკლ. მოძღვ.
ევროპის მფარველი, +1380, დ, თ

შაბათი

1იო 1,5 – 2,2; ფს 102; მთ 11,25–30

ღმერთი ნათელია და არავითარი ბნელი არაა მასში 1იო 1,5

წმიდა ეკატერინემ ღვთისგან მიიღი უხვი ნათელი და ძალა, ისე, რომ ეკლესიის საჭეთმპყრობლებსაც კი რჩევებს აძლევდა, საზოგადოებაში მშვიდობის დამყარებას უწყობდა ხელს, მეგზურობას უწევდა მათ ვინც მას მიჰყვებოდა სიყვარულის მისეულ საქმეში. შეყვარებული იყო იესოზე! გვეიმედება მისი ლოცვის ჩვენი ერისა და მთელი ევროპისათვის.

30 აპრილი

პასექის III კვირადღე, «ა» , [III] , თ

2017 კვირა

საქმ 2,14.22-33; ფს 15; 1პეტ 1,17-21; ლკ 24,13-35

თავად იესო მიუახლოვდა და დაემგზავრა მათ ლკ 24,15

იესო ხედავს ორ მოწაფეს ყურები და ხელები რომ ჩამოუყრიათ. დაემგზავრება მათ, რათა შეუსწოროს: ავიწყდებოდათ მტკივნეული ფაქტების წაკითხვა წმიდა წერილების შუქზე. ამიტომ უთხრა მათ: *„უგნურნო“*! რამდენჯერ უნდა შემახსენოს მეც ჩემი უგნურობა, ნამდვილი სიშლეგე, რადგან ვივიწყებ ხოლმე, რომ ის ცოცხალია და ახლოა ჩემთან.